

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თიბისი ბანკის სახელობის „მონაცემთა მეცნიერის სტიპენდიის“ მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - „ფაკულტეტი“) თიბისი ბანკის სახელობის „მონაცემთა მეცნიერის სტიპენდია“ (შემდგომში - „სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა მათემატიკის მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე III-VIII სემესტრის 3 (სამ) სტუდენტს.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ბაკალავრიატის მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული აკადემიური მოსწრებით გამორჩეული სტუდენტების წახალისება ალბათობის, სტატისტიკის, მანქანური დასწავლის, დიდი მონაცემებისა და მონაცემთა მეცნიერების სხვა დისციპლინების მიმართულებით სწავლისთვის.

3. სტიპენდია ინიშნება სს "თიბისი ბანკის" ინიციატივით.

4. სემესტრის განმავლობაში ინიშნება სამი სტიპენდია.

5. III-VIII სემესტრის სტუდენტებისათვის სემესტრული სტიპენდია გაიცემა შემდეგი სახით:

ა) სტიპენდია - 200 ლარი თვეში (საშემოსავლოს გარეშე);

ბ) Coursera-ს კურსების საფასური მონაცემთა მეცნიერების მიმართულების საგნებში - მაქსიმუმ \$180 (ეკვივალენტი ლარებში, საშემოსავლოს გარეშე) სემესტრში (ანაზღაურდება კურსების გავლის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდეგ). საგნების გავლა წინასწარ უნდა შეთანხმდეს კომისიასთან. ანაზღაურება განხორციელდება თიბისის მიერ სათანადოდ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე განსაკუთრებული ნიჭის და სიბეჯითის მქონე სტუდენტზე. თანაბარი მონაცემების მქონე კანდიდატებს შორის უპირატესობა მიენიჭება სტუდენტებს შემდეგი პრიორიტეტულობის მიხედვით:

ა) მესამე, მეოთხე კურსის სტუდენტებს;

ბ) მეორე კურსის სტუდენტებს.

2. კომისიის მიერ გასაუბრების შედეგებზე დაყრდნობით სტიპენდიანტი უნდა იყოს სანიმუშო ყოფაქცევის, ავტორიტეტული, მიზანსწრაფული და მოტივირებული სტუდენტი.

3. სტიპენდია უნდა მიენიჭოს საქართველოს მოქალაქეს განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, სქესისა და ქონებრივი მდგომარეობისა.

4. სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია 1 სემესტრის ვადით. სტიპენდიანტებს მიეცემათ უფლება ხელახლა წარადგინონ საბუთები ახალი ვადით სტიპენდიის მიღებაზე.

5. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

- გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;
- დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუს შეჩერებულ სტუდენტზე;
- ე) დასაფინანსებელ წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი სტიპენდიის სხვა სტუდენტისთვის დანიშვნის თაობაზე;
- ვ) თუ ვერ მოიძებნა კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი კანდიდატურა;
- ზ) სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტზე.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.
2. კომისია იქმნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით.
3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება ქვემოთ მოცემული წესით:
 - ა) კანდიდატს უნდა ჰქონდეს GPA არანაკლებ 3;
 - ბ) კანდიდატს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 81 ქულა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მიმართულებით გავლილ საგნებში;
 - გ) თუ კანდიდატი იყო სტიპენდიანტი წინა სემესტრში, მას უნდა ჰქონდეს შესრულებული სტიპენდიის შესაბამისი ვალდებულებები.
4. კრიტერიუმებთან შესაბამისობაში გამოცხადებულზე მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაში კომისიის მიერ სტიპენდიანტის შერჩევა განხორციელდება შემდეგი პრიორიტეტული კრიტერიუმების მიხედვით:
 - ა) უკეთესი საშუალო აკადემიური მოსწრება წინა კალენდარული სემესტრის მათემატიკურ საგნებში;
 - ბ) ალბათობისა და სტატისტიკის მიმართულებით სემინარებში მონაწილეობა;
 - გ) Coursera-ს ან სხვა MOOC-ის (EdX, Udemy, ა.შ.) სერტიფიკატები შემდეგი მიმართულების საგნებში: ალბათობის თეორია, სტატისტიკა, მონაცემთა მეცნიერება, მანქანური დასწავლა, ხელოვნური ინტელექტი, პროგრამირების ენა R, პროგრამირების ენა Python, მონაცემთა ინჟინერია ან მონაცემთა მეცნიერების მიმართულების სხვა საგნები;
 - დ) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სემესტრში გამოქვეყნებული. (დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები);
 - ე) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სემესტრში ჩატარებული კონფერენციები);
 - ვ) შესაძლებლობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება სტიპენდიების სხვადასხვა სემესტრის სტუდენტებზე გაცემას.
5. სტიპენდიანტი ვალდებულია სტიპენდიის მიღების პერიოდში შეასრულოს შემდეგი პირობები:
 - ა) აქტიურად იყოს ჩართული ფაკულტეტზე ჩატარებულ ალბათობის, სტატისტიკის, მანქანური დასწავლის, სტატისტიკური პროგრამირებისა და მონაცემთა მეცნიერების მიმართულების სხვა სემინარებში;
 - ბ) გაიაროს კომისიის მიერ რეკომენდირებული ერთი საგანი მაინც Coursera-ზე;
 - გ) შეთავაზების შემთხვევაში, გაიაროს სტაჟირება თიბისიში ზაფხულის განმავლობაში მონაცემთა მეცნიერების უნარების ამაღლების მიზნით.
6. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ვალდებულია კომისიას. მიაწოდოს ინფორმაცია საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესახებ.

7. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

8. სტიპენდია ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

სტიპენდიის ფუნქციონირებისათვის თანხების უზრუნველყოფის ვალდებულებას იღებს თიბისი ბანკი.

9. სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადება და სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.

მუხლი 4. სტიპენდიის მაძიებელი სტუდენტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა

1. განცხადება კომისიის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. სამოტივაციო წერილი;
4. აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
5. Coursera-ს კურსების სერტიფიკატები (საჭიროების შემთხვევაში);
6. სემინარებზე დასწრების და/ან კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი საბუთი (საჭიროების შემთხვევაში);
7. სამეცნიერო ნაშრომები (საჭიროების შემთხვევაში).